კორუფციის პრევენციის აუდიტორული მექანიზმების სისტემური ანალიზი და გამოწვევები საქართველოს ბიზნეს სექტორში

დალი სოლოღაშვილი
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ORCID: 0000-0001-7214-2903

ამირან კილაძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორანტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ORCID: 0009-0004-3355-6264

https://doi.org/10.52340/gbsab.2026.59.07

საკვანძო სიტყვები: კორუფციის პრევენცია, შიდა აუდიტი, კორპორაციული მართვა, ტრანზაქციული ხარჯები, საქართველოს ბიზნეს სექტორი, COSO ჩარჩო.

შესავალი

თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში კორუფცია აღიარებულია ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ და სტრუქტურულ გამოწვევად, რაც ხელს უშლის ეკონომიკურ განვითარებას,ამცირებსინსტიტუციურნდობასდაამახინჯებსსაბაზროკონკურენციას. ბიზნეს სფეროში კორუფციას გააჩნია როგორც აქტიური, ასევე პასიური ფორმები, რაც იწვევს რესურსების არაეფექტურ განაწილებას, ტრანზაქციული ხარჯების ზრდას და კომპანიების კონკურენტუნარიანობის შემცირებას.

საქართველოს კონტექსტში, გასულ ათწლეულებში გატარებული მნიშვნელოვანი ანტიკორუფციული რეფორმების მიუხედავად, კერძო სექტორი კვლავ დგას სერიოზული გამოწვევების წინაშე, განსაკუთრებით შიდა კონტროლისა და დამოუკიდებელი აუდიტის ინტეგრაციის მიმართულებით. არაფორმალური ურთიერთობების ჭარბი გავლენა, კორპორაციული მართვის სუსტი ტრადიციები, ინტერესთა კონფლიქტები ქმნის ისეთ გარემოს, სადაც კორუფციული რისკების პრევენცია განსაკუთრებულ პრაქტიკულ და სამეცნიერო აქტუალურობას იძენს.

კვლევის მიზანი

წინამდებარე კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს საქართველოს ბიზნეს სფეროში კორუფციის აუდიტირული მექანიზმების ეფექტიანობის სისტემური ანალიზი, არსებული ბარიერების და გამოწვევების იდენტიფიცირება, ასევე საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის კითხვები

- როგორ აისახება თეორიული მოდელები ბიზნეს სექტორში კორუფციის წარმოშობასა და დინამიკაზე?
- რა მექანიზმებით ახდენს კორუფცია ტრანზაქციული ხარჯების ზრდას და

როგორ აზიანებს ბიზნეს გარემოს, ინვესტიციებსა და კონკურენციას?

- რა როლს ასრულებენ გარე, შიდა და სასამართლო-საექსპერტო აუდიტი კორუფციის პრევენციასა და ადრეულ გამოვლენაში?
- რა თავისებურებები და გამოწვევები ახასიათებს საქართველოს ბიზნეს სექტორს აუდიტორული და შესაბამისობის სისტემების იმპლემენტაციის კუთხით?
- ადგილობრივი ემპირიული კვლევების და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რა უნდა გაკეთდეს ბიზნეს სექტორში ანტიკორუფციული აუდიტის გაძლიერებისათვის?

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება სისტემურ და თვისობრივ ანალიტიკურ მეთოდოლოგიას:

თეორიული და კონცეპტუალური ანალიზი: კორუფციის ეკონომიკური და ინსტიტუციური თეორიების დეტალური განხილვა (Jensen & Meckling, 1976; Krueger, 1974; Klitgaard, 1988; Rose-Ackerman, 1999).

კომპარატივული (შედარებითი) ანალიზი: აშშ-ის (FCPA), გაერთიანებული სამეფოს (UK Bribery Act), სკანდინავიური ქვეყნების და სინგაპურის ანტიკორუფციული მოდელების შედარება საქართველოსთან.

სისტემური და სტრუქტურული ანალიზი: შიდა კონტროლი მოდელების (COSO ჩარჩო, SOX) ფუნქციური შეფასება კორპორაციული მართვის ჭრილში.

მონაცემთა ტრიანგულაცია: საერთაშორისო ინდექსების (Transparency International - CPI, World Bank WGI) და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის სინთეზი, მათ შორის ადგილობრივი კვლევების ჩართულობით (Sologashvili & Udesiani, 2017; 2021; 2026).

ძირითადი ნაწილი

კორუფცია წარმოადგენს მრავალფაქტორიან ინსტიტუციურ და სოციალ-ეკონომიკურ ფენომენს, რომელიც განისაზღვრება, როგორც დისკრეციული ძალაუფლების ბოროტად გამოყენება პირადი ან ჯგუფური სარგებლის მიღების მიზნით. ასევე კორუფცია განიხილება, ბაზრის ჩავარდნის სპეციფიკურ ფორმად, რაც წარმოშობს რესურსების არაეფექტურ განაწილებას, ფასებით მანიპულირებას და საბაზრო ეკონომიკის დამახინჯებას.

ბიზნეს სექტორში კორუფცია კლასიფიცირდება:

ფუნქციური დაყოფის მიხედვით:

აქტიური კორუფცია: ეკონომიკური აგენტის მიერ უკანონო სარგებლის დაპირება, შეთავაზება ან გადაცემა გადაწყვეტილების მიმღები პირისათვის.

პასიური კორუფცია: უკანონო სარგებლის მოთხოვნა, დათანხმება ან მიღება გადაწყვეტილების მიღების, შეცვლის ან რაიმე ქმედების განხორციელების, თავის შეკავების სანაცვლოდ.

ფუნქციური დაყოფის მიხედვით: ინდივიდუალური, ორგანიზაციული და სისტემური დონეები.

ფორმებით: ქრთამი, ინტერესთა კონფლიქტი, უკანონო საკომისიოები, თაღლითობა, შიდა ინფორმაციის უკანონო გამოყენება და აქტივების გაფლანგვა/მითვისება.

თეორიული მოდელები და ანალიტიკური ჩარჩოები:

- **აგენტ-პრინციპალის თეორიას** - ჯენსენისა და მეკლინგის (Jensen & Meckling, 1976) მიერ შემუშავებული კონცეფციის თანახმად, კორპორაციულ სექტორში თაღლითობის და კორუფციის საწყისი წერტილი არის პრინციპალსა (კომპანიის აქციონერი ან მესაკუთრე) და აგენტს (მენეჯერი ან თანამშრომელი) შორის არსებული ასიმეტრიული ინფორმაცია და ინტერესების განსხვავება. აგენტი ფლობს პრინციპალზე მეტ ინფორმაციას, და იმ შემთხვევაში თუ შიდა კონტროლის მექანიზმები სუსტია, აგენტი ცდილობს საკუთარი სარგებლის მაქსიმიზაციას კომპანიის ინტერესების ხარჯზე. აუდიტის მთავარი ფუნქცია კი ამ შემთხვევაში არის სააგენტო ხარჯების შემცირება და ინფორმაციის ასიმეტრიის აღმოფხვრა.
- **ქირის ძიების თეორია** -ან კრუგერის (Krueger, 1974) თეორიის მიხედვით, კორუფციის გარემოში ეკონომიკური აგენტები საკუთარ რესურსებს მიმართავენ არა პროდუქტიულობის, ეფექტიანობის და ინოვაციის გაზრდისაკენ, არამედ უკვე არსებული სიმდიდრეების განაწილებისა და მონოპოლური ქირის მოპოვებისაკენ.
- **კოლექტიური ქმედების თეორია** - მანსურ ოლსონის (Olson, 1965) და მოგვიანებით როთშტეინის (Rothstein, 2011) შრომებში ხაზგასმულია, რომ სისტემური კორუფცია წარმოშობს არა მხოლოდ ინდივიდუალურ მორალურ ჩავარდნას, არამედ იღებს კოლექტიური პრობლემის სახეს. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესმა იცის კორუფციის დამაზიანებელი ეფექტი ბაზრისათვის, ცალკეულ აგენტებს არა აქვთ სტიმული ცალმხრივად უარი თქვან ქრთამზე. ამ დროს წარმოიშობა მავნე წონასწორობა.
- **კლიტგაარდის ანტიკორუფციული ფორმულას** - რობერტ კლიტგაარდმა (Klitgaard, 1988) კორუფციის სტრუქტურული მიზეზები შემდეგი ფორმულით გამოსახა:

კორუფცია (C) = მონოპოლია (M) + დისკრეცია (D) - ანგარიშვალდებულება (A)

ამ მოდელის მიხედვით, კორუფციის რისკი მაღალია მაშინ, როდესაც ეკონომიკური აგენტი ფლობს მონოპოლიურ და დისკრეციულ უფლებამოსილებებს, შეუძლია გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღოს, ხოლო გამჭვირვალეობა და ანგარიშვალდებულება დაბალ ია. აუდიტორული მექანიზმები პირდაპირ მოქმედებენ ანგარშვალდებულების (A) ზრდაზე და დისკრეციის (D) შეზღუდვაზე. ამ კონტექსტში, სოლოღაშვილი და უდესიანი (Sologashvili & Udesiani, 2026) ხაზს უსვამენ, რომ აუდიტის და ციფრული ბუღალტერიის ინტეგრაცია მკვეთრად ზრდის ანგარიშვალდებულებას და ამცირებს ადამიანურ დისკრეციას, რაც ჭკვიანი მმართველობის დამკვიდრებისა და კორუფციული რისკების პრევენციის ფუნდამენტური წინაპირობაა.

კორუფცია კერძო სექტორში არ წარმოადგენს მხოლოდ სამართლებრივ დარღვევას, არამედ არის ფუნდამენტური ეკონომიკური არაეფექტიანობის წყარო, რაც ამახინჯებს საბაზრო მექანიზმებს, ზრდის ბიზნესის ხარჯებს და აუარესებს საინვესტიციო კლიმატს. კერძოდ:

1. ტრანზაქციული ხარჯების სტრუქტურული ზრდა - რონალდ კოუზისა (Coase, 1960) და ოლივერ უილიამსონის (Williamson, 1985) ტრანზაქციული ხარჯების ეკონომიკურ თეორიაზე დაყრდნობით, კორუფციულ გარემოში კორუფცია მოქმედებს როგორც არაფორმალური „გადასახადი“, შედეგად იზრდება ბიზნეს ოპერაციების განხორციელების სამი ძირითადი კომპონენტი:

- **საინფორმაციო ხარჯები:** რადგან კორუფციული გარიგებები ატარებენ ფარულ და არაფორმალურ ხასიათს, ეკონომიკურ აგენტებს სჭირდებათ დამატებითი რესურსები იმის დასადგენად, ვინ არის რეალურად გადაწყვეტილების მიმღები და რა არის არაფორმალური „გადასახადის“ ოდენობა.
- **მოლაპარაკებების ხარჯები:** არაფარმალური გარიგების მიღწევას სჭირდება ხანგრძლივი და ფარული მოლაპარაკებები. ეს იწვევს მენეჯერული და ფინანსური რესურსების ზრდას.
- **აღსრულების და მონიტორინგის ხარჯები**: კორუფციულ გარიგებებას არ გააჩნია იურიდიული ძალა და მას ვერ დაიცავ ოფიციალური ან სასამართლო გზით. შესაბამისად, მკვეთრად იზრდება ვალდებულების შეუსრულებლობის რისკები. ბიზნესი იძულებული ხდება გასწიოს დამატებითი ხარჯები არაფორმალური და ფარული პირობების შესრულების მონიტორინგზე.

2. საბაზრო კონკურენციის და ინოვაციების დეფორმაცია. კორუფცია პირდაპირ არღვევს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს. თავისუფალ ბაზარზა ბიზნესის წარმატება დამოკიდებულია პროდუქციის ხარისხზე, ოპერაციულ ეფექტიანობაზე და ინოვაციებზე. კორუფციული გარემოში კი უპირატესობას იპოვებს ის, ვისაც გააჩნია უკეთესი არაფორმალური კავშირები (კრონიზმი).

- **უარყოფითი შერჩევის ეფექტი:** კეთილსინდისიერი სუბიექტები, ვისაც არ სურთ არაფორმალური თამაშის წესების მიღება, იძულებულნი ხდებიან დატოვონ ბაზარი.
- **არაპროდუქტიული რესურსების გადანაწილება:** კვლევასა და განვითარებაზე ინვესტირების ნაცვლად, კომპანიები რესურსებს მიმართავენ კორუმპირებული კონტრაგენტების მოსასყიდად.

3. საინვესტიციო გარემოს და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გაუარესება. საერთაშორისო ინვესტორებისთვის კორუფცია წარმოადგენს სისტემურ რისკს, რომელიც ამცირებს კაპიტალის უკუგების პროგნოზირებადობას (Rose-Ackerman, 1999; Shleifer & Vishny, 1993).

რისკის პრემიის ზრდა: კორუფციის მაღალი დონე ზრდის ქვეყნის და სექტორის რისკ-პრემიას. უცხოელი ინვესტორები ითხოვენ კაპიტალის უფრო მაღალ უკუგებას, რათა მოხდეს ოპერაციული და სამართლებრივი რისკების დაბალანსება. ეს კი თავის მხრივ ამცირებს საინვესტიციო პროექტების მომგებიანობას.

კაპიტალის სტრუქტურის გაუარესება: კორუფციული გარემო აფრთხობს, სტრატეგიულ ინვესტორებს და იზიდავს მოკლევადიან და სპეკულაციურ კაპიტალს.

ინსტიტუციური ნდობა და აუდიტის როლი: საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდის და ინვესტორთა ნდობის აღდგენის ერთ-ერთი მთავარი პირობაა ციფრული აუდიტორული მექანიზმების შიდა კონტროლის და გამჭვირვალე სისტემების იმპლემენტაცია, რაც ამცირებს ინფორმაციულ ასიმეტრიას და უზრუნველყოფს ფინნასური ნაკადების საიმედო მონიტორინგს.

როგორც კვლევებიდან ირკვევა (Sologashvili & Udesiani, 2021), შიდა კონტროლის სისტემების გამართული ფუნქციონირება პირდაპირ განსაზღვრავს ორგანიზაციული დარღვევების პრევენციას. მათი კვლევის თანახმად, შიდა კონტროლის ფორმალური არსებობა საკმარისი არ არის — გადამწყვეტია ამ სისტემების შინაარსობრივი და ხარისხობრივი უზრუნველყოფა. ამასთანავე, სოლოღაშვილი და უდესიანი (Sologashvili & Udesiani, 2017) მიუთითებენ, რომ აუდიტის პროცესში შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების შემდგომი მონიტორინგი წარმოადგენს რისკების თავიდან აცილებისა და მართვის ეფექტიანობის გაზრდის საკვანძო ეტაპს.

კორუფციასთან ბრძოლაში გარკვეულ როლს ასრულებენ აუდიტის ცალკეული

სახეობები. კერძოდ:

- **ფინანსური აუდიტი:** ამოწმებს ანგარიშგებების სიზუსტეს და ადგენს, რამდენად ასახავს ის კომპანიის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას. ეხმარება ორმაგი ბუღალტერიის და ფიქტიური ხარჯების გამოვლენაში.
- **შესაბამისობის აუდიტი:** ადგენს კომპანიის ოპერაციების შესაბამისობას ინდუსტრიის სტანდარტებთან, მოქმედ კანონმდებლობასთან და ეთიკურ კოდექსებთან.
- **შიდა აუდიტი COSO[1] ჩარჩო** - ეს არის შიდა კონტროლისა და რისკების მართვის საერთაშორისოდ აღიარებული მოდელი, რომელიც ეხმარება ორგანიზაციებს ეფექტური მართვის სისტემების ჩამოყალიბებაში, თაღლითობის თავიდან აცილებასა და დასახული მიზნების მიღწევაში. COSO-ს ინტეგრირებული ჩარჩო მოიცავს 5 ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს:

კონტროლის გარემო: ორგანიზაციული ტონი უმაღლესი მენეჯმენტის მხრიდან („Tone at the Top“).

რისკების შეფასება: კორუფციული და თაღლითური რისკების იდენტიფიცირება.

კონტროლის აქტივობები: ავტორიზაციის პროცედურები, უფლებამოსილებების გამიჯვნა.

ინფორმაცია და კომუნიკაცია: ინფორმაციის გამჭვირვალე და დროული ნაკადები.

მონიტორინგი: შიდა კონტროლის სისტემების პერიოდული ან მუდმივი შეფასება იმის დასადასტირებლად, რომ ყველა კომპონენტი ეფექტურად მუშაობს.

სასამართლო-საექსპერტო აუდიტი: სპეციალიზებული აუდიტი, რომელიც მიმართულია თაღლითობის, აქტივების მითვისებისა და კორუფციული სქემების სიღრმისეულ გამოძიებაზე (Wells, 2017).

კორუფციის პრევენციის საერთაშორისო პრაქტიკა:

აშშ: FCPA და Sarbanes-Oxley Act (SOX)

- **FCPA (Foreign Corrupt Practices Act, 1977)**: კრძალავს ამერიკული კომპანიების და საფონდო ბირჟაზე ლისტინგირებული უცხოური სუბიექტების მიერ უცხოელი მოხელეების მოსყიდვას. ასეთი ქმედებების პრევენციისათვის, FCPA-ს აქვს ექსტრატერიტორიული მოქმედების ძალა და აწესებს დიდ ჯარიმებს.
- **Sarbanes-Oxley Act (2002):** მიღება მოხდა Enron და WorldCom სკანდალების შემდეგ. SOX-ის 404-ე მუხლის ავალდებულებს კომპანიებს, ყოველწლიურად წარადგინონ ანგარიში და შეაფასონ შიდა ფინანსური კონტროლის ეფექტიანობაზე, რაც უნდა დადასტურდეს გარე აუდიტორების მიერ.

გაერთიანებული სამეფო (UK Bribery Act 2010): აწესებს მკაცრ კორპორაციულ პასუხისმგებლობას ქრთამისათვის, სადაც ერთადერთი დაცვა არის „საკმარისი პროცედურების“ არსებობის დამტკიცება.

სკანდინავიური მოდელი: დაფუძნებულია საჯარო ინფორმაციის გამჭვირვალეობაზე, მაღალ სოციალურ კაპიტალსა და ღია მმართველობაზე. ბიზნეს სექტორში შიდა კონტროლი ინტეგრირებულია საერთო კორპორაციულ კულტურასა და სოციალურ პასუხისმგებლობაში (CSR).

სინგაპურის მოდელი (CPIB): ეფუძნება „ნულოვანი ტოლერანტობის“ პრინციპს

[1] COSO (Committee of Sponsoring Organizations of the Treadway Commission) - აშშ-ში ბაზირებული კერძო სექტორის ორგანიზაცია, რომელმაც 1992 წელს (ხოლო მოგვიანებით 2013 წელს განაახლა) შეიმუშავა სტანდარტი.

და მკაცრ საკანონმდებლო სანქციებს, ასევე მენეჯერებისათვის მაღალ ანაზღაურებას, პროცესების ავტომატიზაციას, რაც თავის მხრივ მინიმუმამდე ამცირებს ადამიანის დისკრეციას.

საქართველოში არსებული მდგომარეობა და გამოწვევები

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბიზნეს გარემომ მიაღწია მნიშვნელოვან პროგრესს ბიუროკრატიული ბარიერების შემცირების კუთხით, არსებობს რამდენიმე ფუნდამენტური გამოწვევა:

- **არაფორმალური ურთიერთობების ძლიერი გავლენა**: ხშირად გადაწყვეტილებები ეფუძნება პირად და მეგობრულ-ნათესაურ კავშირებს.
- **შიდა კონტროლის და აუდიტის ფორმალური ხასიათ**ი: სოლოღაშვილი და უდესიანი (Sologashvili & Udesiani, 2021b) ხაზს უსვამენ, რომ ადგილობრივ ორგანიზაციებში აუდიტორული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის მექანიზმები ხშირად აწყდება კვალიფიციური კადრების ნაკლებობასა და მეთოდოლოგიურ ხარვეზებს, რის გამოც შიდა კონტროლი ხშირად ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს.
- **მხილების (Whistleblowing) ინსტიტუტის სუსტი განვითარება:** შიდა დაცვის მექანიზმების არ არსებობა და დაბალი სოციალური კულტურა.
- **მაღალი რისკის სექტორები:** სახელმწიფო შესყიდვები-ტენდერები, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები და საგადასახადო-საბაჟო ოპერაციები.

პრაქტიკული რეკომენდაციები საქართველოს ბიზნეს სექტორისათვის

1. **COSO-ს ჩარჩოსა და კორპორაციული მართვის სტანდარტების დანერგვა:** დამოუკიდებელი აუდიტის კომიტეტის ჩამოყალიბება სამეთვალყურეო საბჭოების შემადგენლობაში;
2. **ციფრული აუდიტის და აღრიცხვის ტექნოლოგიების დანერგვა:** ციფრული აუდიტის და ბუღალტერიის ინსტრუმენტების ინტეგრირება უზრუნველყოფს ტრანზაქციების გამჭვირვალეობას და უწყვეტ მონიტორინგს;
3. **ანონიმური მხილების ციფრული არხების შექმნა:** ბიზნესმა უნდა დანერგოს საფრთხო და ანონიმური ცხელი ხაზები, ასევე ციფრული პლატფორმები, სადაც თანამშრომლები შეძლებენ საეჭვო და კორუფციული ქმედებების დაფიქსირებას.
4. **რისკზე დაფუძნებული აუდიტი და Big Data ანალიტიკა:** ტრადიციული, პერიოდული აუდიტის ნაცვლად უწყვეტი ციფრული მონიტორინგის დანერგვა;მონაცემთა ანალიტიკური ინსტრუმენტების დანერგვა, რომლებიც ავტომატურად აიდენტიფიცირებენ საეჭვო ტრანზაქციებს (უჩვეულო გადარიცხვები ოფშორულ ზონებში ან დასვენების დღეებში);
5. **აუდიტორული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა და მონიტორინგი:** აუდიტის ეფექტიანობის ასამაღლებლად აუცილებელია ხარისხის პერიოდული კონტროლის გაძლიერება და გაცემული რეკომენდაციების შესრულების პერმანენტული მონიტორინგი.
6. **კომპლაიენს-ოფიცრების ინსტიტუტის გაძლიერება** - მნიშვნელოვანია კომპანიებში ანტიკორუფციული შესაბამისობის პროგრამების (Anti-Bribery Compliance Program) დანერგვა, რაც მოიცავს კონტრაგენტების შემოწმებას და თანამშრომელთა (Due Diligence) პერიოდულ გადამზადებას.
7. **საკანონმდებლო სტიმულები:** ISO 37001 (ანტიკორუფციული მართვის სისტემები) სტანდარტის მქონე კომპანიების სტიმულიერება სახელმწიფო

ტენდერებში (მაგალითად, დამატებითი ქულების მინიჭება).

დასკვნა

ჩატარებულმა სისტემურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ბეზნეს სექტორში აუდიტორული მექანიზმები წარმოადგენს კორუფციის პრევენციის, ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფის და ტრანზაქციული ხარჯების შემცირების ფუნდამენტურ ინსტრუმენტს. საქართველოში ჯანსაღი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება შეუძლებელია კორპორაციული ეთიკის მართვასა და ციფრულ, რისკზე დაფუძნებულ აუდიტზე გადასვლის გარეშე.

ბიბლიოგრაფია

1. Acemoglu, D., & Robinson, J. A. (2012). Why nations fail: The origins of power, prosperity, and poverty. Crown Business.
2. Coase, R. H. (1960). The problem of social cost. Journal of Law and Economics, 3, 1–44. https://doi.org/10.1086/466560
3. Committee of Sponsoring Organizations of the Treadway Commission (COSO). (2013). Internal control – Integrated framework. COSO.
4. International Federation of Accountants (IFAC). (2023). International standards on auditing (ISA). IFAC.
5. Jensen, M. C., & Meckling, W. H. (1976). Theory of the firm: Managerial behavior, agency costs and ownership structure. Journal of Financial Economics, 3(4), 305–360. https://doi.org/10.1016/0304-405X(76)90026-X
6. Klitgaard, R. (1988). Controlling corruption. University of California Press.
7. Krueger, A. O. (1974). The political economy of the rent-seeking society. American Economic Review, 64(3), 291–303.
8. Olson, M. (1965). The logic of collective action: Public goods and the theory of groups. Harvard University Press.
9. Rose-Ackerman, S. (1999). Corruption and government: Causes, consequences, and reform. Cambridge University Press.
10. Rothstein, B. (2011). The quality of government: Corruption, social trust, and inequality in international perspective. University of Chicago Press.
11. Shleifer, A., & Vishny, R. W. (1993). Corruption. Quarterly Journal of Economics, 108(3), 599–617. https://doi.org/10.2307/2118402
12. Sologashvili, D., & Udesiani, T. (2026). Digital accounting and financial audit as the foundation of smart governance. Smart Cities and Regional Development Journal, 10(3), 67–73.
13. Sologashvili, D., & Udesiani, T. (2021). Internal control system problems, challenges and issues of its improvement. Globalization and Business, 12, 166–171.
14. სოლოღაშვილი, დ., & უდესიანი, თ. (2021b). აუდიტორული საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფისა და კონტროლის საკითხები. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, 392–396.
15. Sologashvili, D., & Udesiani, T. (2017). Development of audit recommendations and performance improvements in the audit process. International Journal of Innovative Technologies in Economy, 6(12), 35–38.
16. სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (ISO). (2016). ანტიმექრთამეობის მართვის სისტემები — მოთხოვნები და გამოყენების სახელმძღვანელო (ISO

სტანდარტი № 37001:2016). International Organization for Standardization. https://www.iso.org/standard/65034.html
17. Transparency International. (2023). Corruption perceptions index 2023. Transparency International.
18. Wells, J. T. (2017). Corporate fraud handbook: Prevention and detection (5th ed.). John Wiley & Sons.
19. Williamson, O. E. (1985). The economic institutions of capitalism. Free Press.

SYSTEMATIC ANALYSIS OF AUDIT MECHANISMS FOR CORRUPTION PREVENTION AND CHALLENGES IN THE GEORGIAN BUSINESS SECTOR

Dali Sologashvili
Academic Doctor of Economics, Professor
Akaki Tsereteli State University
ORCID: 0000-0001-7214-2903

Amiran Kiladze
Doctoral Student in Business Administration
Akaki Tsereteli State University
ORCID: 0009-0004-3355-6264

RESUME

1. Research Overview & Theoretical Foundations

This summary synthesizes the key insights of the study evaluating the structural maturity and operational efficacy of audit mechanisms in mitigating corporate corruption within Georgia's private sector. Grounded in institutional economics, the article integrates Agency Theory (Jensen & Meckling, 1976), Rent-Seeking Theory (Krueger, 1974), and Collective Action Models (Rothstein, 2011). It highlights how corruption operates as a market failure that inflates transaction costs, distorts fair market competition, and deters Foreign Direct Investment (FDI).

Klitgaard's Anti-Corruption Formula & Digital Governance:

Applying C = M + D - A (Corruption = Monopoly + Discretion − Accountability), the study demonstrates that robust internal audit systems paired with digital accounting technology (Sologashvili & Udesiani, 2026) significantly maximize Accountability (A) while constraining discretionary power (D), fostering smart corporate governance.

2. Economic Impact & Structural Challenges in Georgia

In the Georgian business environment, corruption manifests primarily through informal network influences, transactional fraud, and weaknesses in compliance governance. Transaction cost economics reveals two primary drivers of cost inflation:

Search & Bargaining Costs: Resources diverted to identify informal decision-makers and negotiate undisclosed commissions, replacing productive R&D investment.

Enforcement Risks: Lack of legal recourse for informal agreements, forcing firms to absorb high counterparty default and extortion risks.

3. Strategic Recommendations for the Business Sector

To transition from superficial compliance to risk-based, resilient internal controls, the paper formulates five actionable strategies supported by recent empirical findings (Sologashvili & Udesiani, 2017, 2021, 2021b):

- Governance Independence: Restructure internal audit reporting lines directly to independent Audit Committees rather than executive management (CEOs).

- COSO & ISO 37001 Implementation: Embed the 5-component COSO Control Framework and adopt ISO 37001 Anti-Bribery Management Systems.

- Digitalization & Continuous Auditing: Leverage Big Data analytics and automated accounting platforms to detect transaction anomalies in real time.

- Whistleblower Protection: Establish secure, anonymized digital reporting channels to encourage structural transparency.

- Audit Quality Control: Enforce rigorous post-audit recommendation tracking and mandatory quality assurance reviews

Keywords: Corruption prevention, Internal audit, Corporate governance, Transaction costs, Georgian business sector, COSO framework.